

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	15
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები	23
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	24
6. ამონაგები.....	29
7. სხვა ხარჯები.....	30
8. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	30
9. ძირითადი საშუალებები	31
10. გუდვილი.....	32
11. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	32
12. მარაგები.....	33
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	33
14. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	34
15. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	34
16. მიღებული სესხები	34
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35
18. საწარმოთა გაერთიანება	36
19. პირობითი აქტივები და ვალდებულებები.....	36
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	37
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	38

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	39
---	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს,

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“-ის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აზრები

გვსურს თქვენი ყურადღება გაავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-16 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ჯგუფს მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური შეზღუდვები, რომლებიც ჯგუფმა ვერ შეასრულა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფს აქვს წერილობითი შეთანხმება ბანკთან, რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლებას 2023 წელს დარღვეული შეზღუდვების გამო. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2023 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

**ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა
კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

5 დეკემბერი 2024

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	6	81,610,881	71,925,300
სხვა შემოსავალი		897,460	155,262
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(51,017,616)	(38,802,794)
მარაგის ხარჯი	12	(20,998,177)	(17,695,338)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,433,351)	(5,276,877)
სხვა ხარჯები	7	(8,532,745)	(6,286,261)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	13	(1,561,280)	(224,432)
გუდვილის გაუფასურება	10	(8,614,351)	-
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციაში	11	233,654	255,946
ფინანსური ხარჯი	8	(8,094,672)	(4,200,408)
ფინანსური შემოსავალი	8	229,058	11,387,986
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(318,477)	384,486
ხელსაყრელი შესყიდვა	18	-	27,278,080
წმინდა მოგება/(ზარალი)		(22,599,616)	38,900,950
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(22,599,616)	38,900,950

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 5 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

დ.ბეჟუაშვილი

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	6	81,610,881	71,925,300
სხვა შემოსავალი		897,460	155,262
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(51,017,616)	(38,802,794)
მარაგის ხარჯი	12	(20,998,177)	(17,695,338)
ცვეთა და ამორტიზაცია		(6,433,351)	(5,276,877)
სხვა ხარჯები	7	(8,532,745)	(6,286,261)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	13	(1,561,280)	(224,432)
გუდვილის გაუფასურება	10	(8,614,351)	-
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციაში	11	233,654	255,946
ფინანსური ხარჯი	8	(8,094,672)	(4,200,408)
ფინანსური შემოსავალი	8	229,058	11,387,986
საკუთრო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		(318,477)	384,486
ხელსაყრელი შესყიდვა	18	-	27,278,080
წმინდა მოგება/(ზარალი)		(22,599,616)	38,900,950
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(22,599,616)	38,900,950

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 5 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



დ.ბეჟუაშვილი

11 - 38 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	120,393,225	114,411,799
აქტივების გამოყენების უფლება		34,532	51,798
არამატერიალური აქტივები		157,843	207,391
გუდვილი	10	-	8,614,351
ძირითად საშუალებაზე გადახდილი ავანსი		1,118,191	664,999
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	11	673,531	689,876
სხვა ინვესტიციები		25,000	25,000
		122,402,322	124,665,214
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	4,426,095	4,655,283
საგადასახადო აქტივები		10,196	401,804
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	19,675,401	20,123,082
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14	2,750,000	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	15	1,285,517	3,952,634
		28,147,209	29,132,803
სულ აქტივები		150,549,531	153,798,017
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		11,000,121	121
დაგროვილი მოგება		46,160,608	68,760,224
სულ კაპიტალი		57,160,729	68,760,345
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	60,501,122	50,107,309
საიჯარო ვალდებულება		20,159	30,949
		60,521,281	50,138,258
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	13,805,762	19,247,936
საიჯარო ვალდებულება		14,891	14,199
საგადასახადო ვალდებულებები		310,177	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	18,736,691	15,637,279
		32,867,521	34,899,414
სულ ვალდებულებები		93,388,802	85,037,672
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		150,549,531	153,798,017

11 - 38 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	121	29,859,274	29,859,395
წლის სრული მოგება	-	38,900,950	38,900,950
2022 წლის 31 დეკემბერი	121	68,760,224	68,760,345
წლის სრული ზარალი	-	(22,599,616)	(22,599,616)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,000,000	-	11,000,000
2023 წლის 31 დეკემბერი	11,000,121	46,160,608	57,160,729

11 - 38 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები		81,096,816	76,012,886
გადახდილი ხელფასები		(38,703,788)	(31,524,912)
სავაჭრო მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(27,669,834)	(22,628,739)
გადახდილი გადასახადები		(10,286,465)	(8,022,523)
გადახდილი დაგროვებითი პენსია		(1,122,920)	(982,306)
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი		227,689	421,047
სხვა გადახდები		-	(57,556)
სხვა შემოსავლები		747,315	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		4,288,813	13,217,897
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(10,136,057)	(8,873,749)
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		(1,118,637)	(664,999)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(30,671)	(26,462)
შვილობილი საწარმოს შეძენა, შეძენილი საწარმოს ფულის გამოკლებით	18	-	(8,035,509)
არამაკონტროლებელი წილის შესაძენად გადახდილი თანხა		-	(471,208)
მიღებული დივიდენდი		249,980	200,000
სესხის გაცემა		-	(6,600,304)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,035,385)	(24,472,231)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება	16	10,181,540	17,482,076
სესხის დაფარვა	16	(6,952,704)	(5,701,053)
გადახდილი პროცენტი	16	(7,312,327)	(3,218,675)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(25,481)	(96,261)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		8,250,000	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		4,141,028	8,466,087
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(2,605,544)	(2,788,247)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში			
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	15	3,952,634	6,827,515
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	1,285,517	3,952,634

11 - 38 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2019 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ინვესტიციების ფლობა და მართვა შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანიების ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო, კერძოდ სტაციონალური და ამბოლატორიული მომსახურების გაწევა.

კომპანიას ხელმძღვანელობს და მართავს გენერალური დირექტორის მოადგილე. კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს და კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებს:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	31.12.2023	31.12.2022	საოპერაციო საქმიანობა
შპს „ჯეო ჰოსპიტალს“	საქართველო	100%	100%	სამედიცინო მომსახურება
შპს „საჩხერის რაიონის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი 03“	საქართველო	100%	100%	არ ფუნქციონირებს
შპს „მცხეთა მთიანეთის ჯანმრთელობისა და სასწრაფო რესურსების ცენტრი“	საქართველო	50%	50%	საინვესტიციო საქმიანობა

ჯგუფის მფლობელების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
დავით ბეჟუაშვილი	25%	25%
შპს მთიანეთი	25%	25%
შპს ჯი ემ ეს სი საქართველოს სამედიცინო სერვისების კომპანია	25%	25%
შპს ჰიპ რისერჩი	25%	25%

ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, გაზაფხულის ქუჩა, №18.

მფლობელების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფის საქმიანობა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკველვას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფის ფუნქციონირების შეწყვეტა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

ახალი სტანდარტები და შესწორებები:

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში.

შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დამატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიწოდების ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის.

აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შემოუშვა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სხვა

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

იმ შემთხვევაში თუ შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა განსხვავდება მფლობელი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისგან, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის პოლიტიკასთან.

ჯგუფის კომპონენტებს შორის არსებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური მოთხოვნა, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება. არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2023	31.12.2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

3.3 ამონაგები

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. შემოსავალი სამედიცინო და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში შესრულებული სამუშაოს გამოკვლევის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი ძირითად შემოსავალს იღებს ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურების გაწევიდან.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე.

დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება ჯგუფის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებთან არსებული ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის მიხედვით ჯგუფის მიერ გაგზავნილი შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტები (ანგარიშფაქტურები) კორექტირდება შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში. ფასს 15-ის მოთხოვნების გათვალისწინებით, ჯგუფმა თავიდან რომ აირიდოს შემოსავლის გადაჭარბებით აღიარება, წარსული გამოცდილებით ახორციელებს ანაზღაურების მოსალოდნელი კორექტირების სავარაუდო შეფასებას. მომავალში პოტენციური კორექტირებებისა და ფასდაკლებების სავარაუდო შეფასება ეყრდნობოდა სახელმწიფოს და სადაზღვევო კომპანიების მხრიდან კორექტირებების მაჩვენებლების შესახებ ბოლო 1 წლის ფაქტიურ მონაცემებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით, ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

„ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საკონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქალაქზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონსტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს სახელმწიფოსგან მისაღებ თანხებს
- ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები
- მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან ჯგუფის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

სახელმწიფოსგან მისაღები თანხები

ჯგუფი მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, საიდანაც ფორმირდება სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი.

აღნიშნულ მოთხოვნებს გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება ჯგუფის სხვა დებიტორებისგან. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებობის გათვალისწინებით, ჯგუფი ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე მთავრობისგან მისაღებ თანხებს.

ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები

აღნიშნულ კატეგორიაში განხილულ მოთხოვნების შეფასებისას ჯგუფი მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: ა) დებიტორის ფინანსურ მდგომარეობას, ბ) მისაღები თანხების ვადაგადაცილების სტატუსს, გ) კონტრაგენტთან არსებულ დავალიანებას, დ) გამოცდილებას შემდეგ პერიოდებში თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით ე) ნებისმიერ ხელმისაწვდომ არაფინანსურ ინფორმაციას და ა.შ. 2023 და 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდებში, ჯგუფმა აღიარა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოცემულ ჯგუფში გაერთიანებულ დებიტორებთან.

მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ

აღნიშნულ მოთხოვნებს გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება ჯგუფის სხვა დებიტორებისგან, რადგან აღნიშნულ მოთხოვნებზე მაღალია როგორც დეფოლტის ალბათობა, ასევე, დეფოლტის დადგომისას საკრედიტო დანაკარგი. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ჯგუფი ჯგუფური რეზერვისგან განცალკევებით განიხილავს გაუფასურებაზე ფიზიკური პირებისგან მისაღებ თანხებს. წარსული პერიოდების საკრედიტო ზარალების ანალიზის გათვალისწინებით ჯგუფი იყენებს 100%-იან გაუფასურების დანაკარგის განაკვეთს.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი საქმიანობს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (იი) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ

აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.5 დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, სამედიცინო მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-სგან, გამოქვითვის უფლების გარეშე. გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სხვა გარიგებებთან, გარდა ზემოთ ნახსენებებისა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე. გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების ზარალის აღრიცხვა ხდება მოთხოვნის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ს ჩათვლით.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამაღავარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
შენობა-ნაგებობები	20-50
სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	6-10
აღჭურვილობა და ინვენტარი	6-10
სატრანსპორტო საშუალებები	8

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

20.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ან სხვა კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

3.7 გუდვილი

გუდვილის თავდაპირველი აღიარება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება თვითღირებულებით, რომელიც გაიანგარიშება გადახდილი კომპენსაციის რეალურ ღირებულების ნამეტი თანხით შეძენილი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაზე.

ჯგუფი ყოველწლიურად ამოწმებს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილის გაუფასურებას. გაუფასურებაზე ტესტირების მიზნით, გუდვილი მიეკუთვნება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს, ან ერთეულების ჯგუფებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს მიიღებენ გაერთიანებით განპირობებული სინერგიიდან. თითოეული ერთეული ან ერთეულთა ჯგუფი, რომელსაც გუდვილი მიეკუთვნება წარმოადგენდეს შიდა მმართველობის მიზნებისათვის გუდვილის მონიტორინგის განხორციელების ყველაზე დაბალ დონეს და არ აღემატება საოპერაციო სეგმენტს.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელზეც მიკუთვნებულია გუდვილი გაუფასურების ზარალი აღიარდება როდესაც მისი ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალით ჯერ მცირდება გუდვილი, შემდეგ კი სხვა აქტივები, ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად. საბალანსო ღირებულების შემცირებები აისახება როგორც გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გუდვილის გაუფასურების ზარალი არ კომპენსირდება. გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული პროცედურების სანახავად იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 10.

3.8 ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

ერთობლივი საწარმო გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების აღრიცხვა ხდება თავდაპირველად თვითღირებულებით და შემდგომ კაპიტალ მეთოდით. ერთობლივ საწარმოებისგან მიღებული დივიდენდები ამცირებს ერთობლივ საწარმოში არსებული ინვესტიციების საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციები იტესტება გაუფასურებაზე ბასის 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით, როგორც ცალკეული აქტივი, თუკი არსებობს გაუფასურების ინდიკატორები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.9 მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. ჯგუფის მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს. ჯგუფში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება პარტიული მეთოდის საფუძველზე.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.10 საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.11 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

3.12 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3.13 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-5, 13 განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე, ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) მარაგების გაუფასურება

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის აფასებს მარაგების გაუფასურებას. ჯგუფი აფასებს ნელა ბრუნვადი მარაგების შესაძლო გამოყენებადობას. შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მარაგის გაუფასურებას. გაუფასურების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, ტექნოლოგიურ სიახლეებს, წარსულ გამოცდილებას პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დ) გუდვილის გაუფასურების ტესტირება

ჯგუფმა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააკეთა გუდვილის გაუფასურების ტესტირება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული გაუფასურების ტესტირების შედეგადაც გამოვლენილა გაუფასურება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენების ღირებულების საფუძველზე. ამ მეთოდის გამოყენება მოითხოვს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას და დისკონტის განაკვეთის განსაზღვრას ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად. ჯგუფმა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენა პროგნოზირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის. მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება მოხდა ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული 5-წლიან ფინანსურ ბიუჯეტზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროგნოზების საფუძველზე. დამატებითი ინფორმაცია გუდვილის გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

ე) სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ხელშეკრულებიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი წარსული გამოცდილების საფუძველზე ითვალისწინებს ანაზღაურების მოსალოდნელ კორექტირებას. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ვ) სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,170,549	19,928,607
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,750,000	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,285,517	3,952,634
	23,206,066	23,881,241
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	74,306,884	69,355,245
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,371,447	15,453,206
საიჯარო ვალდებულებები	35,050	45,148
	92,713,381	84,853,599

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით.

შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია ჯგუფის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოო დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ზეგამდევანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: დამფინანსებელი სახელმწიფოა, იურიდიული პირი თუ ფიზიკური და წარსულში ფინანსური სიმწელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნები გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები			
მოკლევადიანი	247,193	1%	(2,472)
ვადაგადაცილება 30-90	251,700	5%	(12,585)
ვადაგადაცილება 91-180	193,335	20%	(38,667)
ვადაგადაცილება 181-365	93,033	50%	(46,517)
ვადაგადაცილება 365 დღეზე მეტი	1,830,302	100%	(1,830,302)
	2,615,563		(1,930,543)
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	20,826,353		(2,340,824)
სულ ფინანსური მოთხოვნები გაუფასურებამდე	23,441,916		(4,271,367)

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნები გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები			
მოკლევადიანი	486,391	1%	(4,864)
ვადაგადაცილება 30-90	744,316	5%	(37,216)
ვადაგადაცილება 91-180	308,086	21%	(64,698)
ვადაგადაცილება 181-365	77,118	50%	(38,559)
ვადაგადაცილება 365 დღეზე მეტი	2,210,097	100%	(2,210,097)
	3,826,008		(2,355,434)
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	18,978,630		(520,597)
სულ ფინანსური მოთხოვნები გაუფასურებამდე	22,804,638		(2,876,031)

ჯგუფი ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 განმარტებითი შენიშვნა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფს არ გამოუყენებია დერივატივები სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,165,615	1,636	3,298	19,170,549
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,750,000	-	-	2,750,000
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,278,346	90	7,081	1,285,517
	23,193,961	1,726	10,379	23,206,066
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	6,271,814	68,035,070	-	74,306,884
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,083,170	388,831	899,446	18,371,447
საიჯარო ვალდებულებები	-	-	35,050	35,050
	23,354,984	68,423,901	934,496	92,713,381
სავალუტო პოზიცია	(161,023)	(68,422,175)	(924,117)	

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,928,607	-	-	19,928,607
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,692,450	8,967	251,217	3,952,634
	23,621,057	8,967	251,217	23,881,241
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	749,376	68,605,869	-	69,355,245
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,500,238	1,324,600	628,368	15,453,206
საიჯარო ვალდებულებები	-	-	45,148	45,148
	14,249,614	69,930,469	673,516	84,853,599
სავალუტო პოზიცია	9,371,443	(69,921,502)	(422,299)	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(184,823)	184,823	(13,684,435)	13,684,435

2022 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(84,460)	84,460	(13,984,300)	13,984,300

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში:

	31.12.2023		31.12.2022	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/ზარალი	(482,796)	482,796	(630,372)	630,372

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	16,472,769	65,921,529	16,011,902	98,406,200
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,371,447	-	-	18,371,447
საიჯარო ვალდებულებები	20,171	16,136	-	36,307
	34,864,387	65,937,665	16,011,902	116,813,954

ლიკვიდურობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	23,954,532	38,169,504	35,042,162	97,166,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,453,206	-	-	15,453,206
საიჯარო ვალდებულებები	16,212	32,424	-	48,636
	39,423,950	38,201,92	35,042,162	112,668,040

6. ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც დამფინანსებლების სახეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სოციალური მომსახურების სააგენტო*	61,605,764	57,037,079
თვითდინებით მოსული პაციენტები	14,166,012	9,168,455
სადაზღვევო კომპანიები	4,013,913	3,015,813
მერია, მუნიციპალიტეტები	1,192,689	771,354
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	166,293	1,412,129
სხვა	466,210	520,470
	81,610,881	71,925,300

(*) - სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან წარმოდგენილია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლით.

ჯგუფმა გამოიყენა ფასს 15.121-ით გათვალისწინებული პრაქტიკული მიზანშეწონილობა და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

7. სხვა ხარჯები

	2023	2022
კომუნალური გადასახადები	(4,098,829)	(3,369,931)
ტრანსპორტირება	(843,860)	(338,794)
საგადასახადო ხარჯი	(700,578)	(26,418)
პროფესიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	(671,703)	(703,476)
სამედიცინო მომსახურება	(583,225)	(700,612)
სამედიცინო ნარჩენების უტილიზაცია და დეზინფექცია	(439,453)	(362,345)
მიმდინარე რემონტი და შეკეთება	(397,440)	(314,680)
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯი	(208,668)	(61,959)
ჯარიმა	(153,980)	(101,405)
სხვა	(435,009)	(306,641)
	(8,532,745)	(6,286,261)

(*) - 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 76,341 და 83,008 ლარს, შესაბამისად.

8. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2023	2022
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(6,022,225)	(4,178,301)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	(2,848)	(22,107)
მიღებულ სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	(2,069,599)	-
	(8,094,672)	(4,200,408)
ფინანსური შემოსავალი		
საბანკო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	227,689	422,115
მიღებულ სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	-	10,960,880
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობა	1,369	4,991
	229,058	11,387,986
	(7,865,614)	7,187,578

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობები	სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	5,879,658	52,159,657	31,514,596	186,475	89,740,386
შემოსვლა	462,562	3,342,087	8,761,935	76,696	12,643,280
შემოსვლა საწარმოთა გაერთიანების გზით (იხილეთ შენიშვნა 18)	13,112,892	22,286,742	4,556,548	-	39,956,182
გასვლა	-	-	(281,134)	-	(281,134)
2022 წლის 31 დეკემბერი	19,455,112	77,788,486	44,551,945	263,171	142,058,714
შემოსვლა	199,520	7,130,336	4,932,074	-	12,261,930
გასვლა	-	-	-	27,549	27,549
2023 წლის 31 დეკემბერი	19,654,632	84,918,822	49,484,019	290,720	154,348,193
დაგროვილი ცვეთა					
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(4,301,207)	(18,385,757)	(125,693)	(22,812,657)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(1,273,748)	(3,791,340)	(27,410)	(5,092,498)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	258,240	-	258,240
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(5,574,955)	(21,918,857)	(153,103)	(27,646,915)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(1,677,602)	(4,627,524)	(30,476)	(6,335,602)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	27,549	27,549
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(7,252,557)	(26,546,381)	(156,030)	(33,954,968)
საბალანსო ღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	19,455,112	72,213,531	22,633,088	110,068	114,411,799
2023 წლის 31 დეკემბერი	19,654,632	77,666,265	22,937,638	134,690	120,393,225

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით მიღებული სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს 91,511,993 და 92,174,374 ლარს, შესაბამისად.

სახელმწიფო ვალდებულებით დატვირთული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილია 2,910,302 და 1,737,127 ლარის ოდენობით, შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 19.

შენობა-ნაგებობების ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ უძრავ ქონებას, რომელიც მდებარეობს ქალაქ ვანში და რომლის საბალანსო ღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილია 871,566 და 883,639 დატვირთულია ყადაღით. ყადაღის საფუძველია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

10. გუდვილი

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ხელმძღვანელობა აკონტროლებს გუდვილს.

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი პერიოდში, რომელიც გაანგარიშებულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ხელმძღვანელობამ გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის მომავალი ფულადი ნაკადები და შესაბამისი დაშვებები განსაზღვრა ქართულ ლარში. აქტივთა ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

დისკონტირების განაკვეთი (დაბეგრამდე), რომელიც გამოყენებულ იქნა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დათვლისთვის შეადგენს 16.5%. ეს დისკონტირების განაკვეთი რომ გაიზარდოს / შემცირდეს 1%-ით გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება იქნება 547,460 ლარით ნაკლები / 636,604 ლარით მეტი.

ზრდის განაკვეთი, რომელიც გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად იქნა გამოყენებული, შეადგენს 3%.

2023 წლის განმავლობაში ჩატარებულმა გაუფასურების ტესტირებამ აჩვენა, რომ გუდვილი გაუფასურებულია სრულად. გაუფასურების ზარალი 8,614,351 ლარი აღიარებულია პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

11. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ ფლობს 50%-იან წილს შპს „მცხეთა მთიანეთის ჯანმრთელობისა და სასწავლო რესურსების ცენტრში“, რომელიც თავის მხრივ ფლობს 100%-იან წილს შპს „მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრ - ჯანმრთელ თაობაში“.

კაპიტალ-მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	689,876	633,930
მოგების წილი მეკავშირე საწარმოში	233,655	255,946
განაწილებული დივიდენდი	(250,000)	(200,000)
31 დეკემბერი	673,531	689,876

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, რომელიც მოცემულია მეკავშირე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით:

	სულ აქტივები	სულ ვალდებულებები	ამონაგები	მოგება
შპს "მცხეთა მთიანეთის ჯანმრთელობისა და სასწავლო რესურსების ცენტრი"	1,427,551	80,490	972,585	467,309

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, რომელიც მოცემულია მეკავშირე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სულ აქტივები	სულ ვალდებულებები	ამონაგები	მოგება
შპს "მცხეთა მთიანეთის ჯანმრთელობისა და სასწავლო რესურსების ცენტრი"	1,483,323	103,647	1,015,170	458,218

12. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
სამედიცინო მედიკამენტები და სახარჯი მასალა	4,058,073	3,866,420
სამეურნეო მარაგები	316,482	745,080
სხვა	51,540	43,783
	4,426,095	4,655,283

მარაგის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
წლის განმავლობაში შეძენილი მარაგი	(21,657,390)	(17,373,982)
შემოსვლა საწარმოთა გაერთიანების გზით (იხილეთ შენიშვნა 18)	-	(662,303)
მარაგის ცვლილება	(229,188)	(84,208)
ჯგუფის მიერ შესრულებული და დაკაპიტალიზებული სამუშაოები	888,401	425,155
მარაგის ხარჯი	(20,998,177)	(17,695,338)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	23,037,368	22,273,527
სხვა მოთხოვნები	-	40,869
სახელშეკრულებო აქტივი	404,548	490,242
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*	(4,271,367)	(2,876,031)
	19,170,549	19,928,607

არაფინანსური მოთხოვნები

გაცემული ავანსები	618,955	308,578
გაუფასურების რეზერვი	(114,103)	(114,103)
	504,852	194,475
	19,675,401	20,123,082

(*) - ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია მე-3 და მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

13. საფაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	(2,876,031)	(1,934,175)
შემოსვლა საწარმოთა გაერთიანების გზით (იხილეთ შენიშვნა 18)	-	(717,424)
გასვლა	165,944	-
ცვლილება	(1,561,280)	(224,432)
31 დეკემბერი	(4,271,367)	(2,876,031)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

14. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები სრულად წარმოდგენილია კაპიტალის შევსებაზე დამფუძნებლის - შპს ჰიპ რისერჩის - მიმართ არსებული მოთხოვნებით, რომლის დაფარვის ვადა 2023 წლის 16 მაისის კრების ოქმის მიხედვით განსაზღვრული იყო 2023 წლის 31 დეკემბერი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 21.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,258,831	3,678,273
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	7,171	261,718
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	19,515	12,643
	1,285,517	3,952,634

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

16. მიღებული სესხები

მიღებული მოკლევადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	7,800,788	4,390,510
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	5,849,573	14,857,426
სხვა	155,401	-
	13,805,762	19,247,936

მიღებული გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	47,112,269	49,316,382
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	13,388,853	790,927
	60,501,122	50,107,309

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი ლარში ნომინირებული სესხებისთვის მერყეობს 13%-14% შუალედში, ხოლო ვალუტაში ნომინირებული ნაწილი სესხების პროცენტი მიზნულია წლიურ 6 თვიან EURIBOR და LIBOR განაკვეთს დამატებული ფიქსირებული პროცენტები, კერძოდ 6.5%-6.75%-მდე, ამასთან მინიმალური საპროცენტო გააკვეთის ზღვარი მერყეობს 6.5%-6.75% შუალედში, რაც შეეხება ვალუტაში ნომინირებულ სესხებს, რომლის პროცენტიც ფიქსირებულია საპროცენტო განაკვეთის ზღვარი მერყეობს 5%-8.3% ფარგლებში.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ქართულ ლარში)

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხის თანხა და საპროცენტო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სესხის ძირი	71,263,931	67,319,053
გადასახდელი პროცენტი	3,042,953	2,036,192
	74,306,884	69,355,245
მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:		
	2023	2022
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	69,355,245	66,037,880
მონეტარული ცვლილებები	(4,083,491)	8,562,348
არამონეტარული ცვლილებები		
შემოსვლა საწარმოთა გაერთიანების გზით (იხილეთ შენიშვნა 18)	-	6,613,426
აკრედიტივი	943,306	1,508,255
ურთიერთგადახურვა*	-	(6,584,085)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	6,022,225	4,178,301
საკურსო სხვაობა	2,069,599	(10,960,880)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	74,306,884	69,355,245

ჯგუფს ბანკისგან მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური შეზღუდვები, რომლებიც ვერ შესრულდა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თუმცა, ჯგუფს აქვს წერილობითი შეთანხმება ბანკთან, რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლებას 2023 და 2022 წელს დარღვეული შეზღუდვების გამო.

მიღებული სესხების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-9 განმარტებით შენიშვნაში.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

(*) - ჯგუფს 2022 წელს გაცემული ჰქონდა სესხი შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური“-ს მშობელი კომპანიაზე, რომლის მოცულობაც წილის ნასყიდობის თარიღისთვის შეადგენდა 2,321,925 ევროს (სესხის ძირი და საპროცენტო ვალდებულება). დამატებითი შეთანხმების მიხედვით წილის ნასყიდობისას მოხდა შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის მიერ გაცემული სესხის და შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური“-ის მიღებული სესხის გადაფარვა.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	9,363,980	7,504,260
სახელფასო ვალდებულებები	7,396,880	6,339,377
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	998,367	1,369,232
სხვა ვალდებულება	612,220	240,337
	18,371,447	15,453,206
არაფინანსური ვალდებულებები		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	365,244	184,073
	18,736,691	15,637,279

საკონტრაქტო ვალდებულებები წარმოიქმნება სამედიცინო მომსახურებისთვის მიღებული ავანსებიდან, რომლის შესაბამისი მომსახურება არ აქვს გაწეული კომპანიას. საკონტრაქტო ვალდებულებები ამონაგებად აღიარდება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში სრულად.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

18. საწარმოთა გაერთიანება

2022 წლის 16 აგვისტოს შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-მა შეისყიდა შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური“-ს 100% წილი. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით, რომელიც მოიცავს კომპანიას და მის შვილობილ საწარმოებს, ოპერაცია აღირიცხა როგორც საწარმოს შეძენა. შპს ჯეო ჰოსპიტალსის და მისი შვილობილი კომპანიების ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო, კერძოდ სტაციონალური და ამბოლატორიული მომსახურების მიწოდება.

შესყიდვის მომენტში იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	რეალური ღირებულების კორექტირება	რეალური ღირებულება
ძირითადი საშუალება	10,073,784	29,882,398	39,956,182
არამატერიალური აქტივები	13,631	-	13,631
მარაგები	662,303	-	662,303
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,590,659	-	2,590,659
საგადასახადო აქტივები	288,874	-	288,874
ფული და ფულის ექვივალენტები	954,316	-	954,316
მიღებული სესხები	(6,613,426)	-	(6,613,426)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,584,634)	-	(1,584,634)
შეზღუდული წმინდა აქტივები	6,385,507	29,882,398	36,267,905

შვილობილი კომპანიის შესასყიდად გადახდილი თანხის და ხელსაყრელი შესყიდვის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022
ფული და ფულის ექვივალენტები	8,989,825
სულ შესასყიდად გადახდილი თანხა	8,989,825
ხელსაყრელი შესყიდვა	27,278,080

19. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს გააჩნია რამდენიმე სასამართლო დავა სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან“, სადაც ჯამური სადავო თანხა შეადგენს 4 მილიონამდე ლარს. აღნიშნულ დავებში ჯგუფი არის მოსარჩელე. დავის საგანს ძირითადად წარმოადგენს სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“ თემატური შემოწმების აქტების ბათილად ცნობა. ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით, მოცემულ სარჩელებთან დაკავშირებით ეკონომიკური სარგებლის მიღების მოლოდინი დაბალია. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ აქვს აღიარებული მოთხოვნა მოცემულ თანხებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

19. პირობითი აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2017 წლის 1 იანვრიდან დაგროვილი მოგების განაწილება მშობელ საწარმოზე, რომელზეც ვრცელდება ესტონური მოდელი, არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონიტორინგი - ჯგუფის სამედიცინო საქმიანობა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. კერძოდ, სააგენტო პერიოდულად ახორციელებს ჯგუფის მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარდგენილი შესრულებების დოკუმენტური სისრულის შემოწმებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლოა ჯგუფს დაეკისროს ფინანსური სანქციები.

სესხის ხელშეკრულების კოვენანტები - ჯგუფს მიღებული აქვს სესხები საფინანსო დაწესებულებებიდან. სასესხო ხელშეკრულების მიხედვით დადგენილი ფინანსური კოვენანტი დარღვეულია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გამსესხებლის მხრიდან სესხის უპირობოდ დაფარვის უფლების გამოყენება (იხილეთ მე-16 განმარტებითი შენიშვნა).

სახელმწიფო ვალდებულებით დატვირთული ქონება - ჯგუფს შენობა-ნაგებობების და მიწის ჯგუფში შემავალი გარკვეული აქტივები შესყიდული აქვს სახელმწიფოსგან. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფმა უნდა შეასრულოს გარკვეული ვალდებულებები (ბაზისური სერვისების მიწოდება, სახელმწიფოსათვის სტრატეგიული სერვისების უზრუნველყოფა და სხვა). ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯგუფს შესაძლოა მიეცეს გაფრთხილება და დაეწესოს ფინანსური სანქციები. ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა შესაძლოა გახდეს ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი და უძრავი ქონება (შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის მარნეულის სამშობიარო და ამბულატორიული ცენტრი (83.02.19.568; 83.02.19.569), შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის სამტრედიის ამბულატორიული ცენტრი (34.08.56.101.01.500), შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი (55.12.75.000.140)) დაუბრუნდეს სახელმწიფოს. 2024 წლის 5 მარტის მდგომარეობით ჯგუფს შესრულებული აქვს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, მცხეთის მუნიციპალიტეტებში ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება 14.07.2023 წლიდან 7 (შვიდი) წლის განმავლობაში.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	10,022	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,750,000		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	114,031	
მიღებული სესხები	11,173,936	8,064,490	
ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:			
სრული შემოსავლის ანგარიშგება	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება
ხელფასის ხარჯი	-	-	(470,997)
სხვა ხარჯები	-	(159,337)	-
ფინანსური ხარჯი	(745,844)	(635,776)	-
ამონაგები	-	10,730	-
სხვა შემოსავალი	-	19,915	-

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	97,814
მიღებული სესხები	8,178,089	7,470,264

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სრული შემოსავლის ანგარიშგება	დამფუძნებელი	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება
ხელფასის ხარჯი	-	-	(470,500)
ფინანსური ხარჯი	(463,324)	(413,948)	-
სხვა ხარჯები	-	(181,248)	-

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ:

- დამფუძნებლების მიერ მოხდა შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“-ს კაპიტალის ზრდა 5,428,900 ლარის ოდენობით;
- 2024 წელს ჯგუფმა რეფინანსირების გზით სრულად დაფარა საფინანსო ინტიტუტებთან არსებული სასესხო ვალდებულებები, რომლის სანაცვლოდ აიღო ახალი სესხი 16,4 მილიონი ევროს ოდენობით, 1 წლიანი საშელავათო პერიოდით ძირითად თანხაზე;
- ჯგუფმა საბრუნავი საშუალებების დაფინანსებისა და კაპიტალური დანახარჯების განხორციელების მიზნით საფინანსო ინსტიტუტთან გააფორმა 5 მილიონ ლარსა და 1 მილიონ ევროზე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები; წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით აღნიშნული საკრედიტო ხაზი არ არის სრულად ათვისებული.
- ჯგუფმა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მიიღო სესხი დამფუძნებლისგან 4,5 მილიონი ლარის ოდენობით;
- 2024 წელს შპს ჰიპ რისერჩსა და შპს ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის სხვა დამფუძნებლებს (შემდგომში დამფუძნებლები) შორის გაფორმდა წილის ნასყიდობისა და მოთხოვნის დათმობის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც შპს ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის დამფუძნებლების მიერ მოხდა შპს ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფში შპს ჰიპ რისერჩის 25% წილის შესყიდვა. გარდა ამისა, შპს ჰიპ რისერჩის მიერ მოხდა შპს ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფზე გაცემული სესხის მოთხოვნის დათმობა აღნიშნული დამფუძნებლების სასარგებლოდ. აღნიშნული შეთანხმების შედეგად და წინამდებარე ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით შპს ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის დამფუძნებლები წარმოდგენილი არიან შემდეგნაირად:

დავით ბეჟუაშვილი	33.34%
შპს მეიდანზე	33.33%
შპს ჯი ემ ეს სი საქართველოს სამედიცინო სერვისების კომპანია	33.33%

- შპს ჰიპ რისერჩის მიმართ არსებული მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე გადანაწილდა არსებულ დამფუძნებლებზე განახლებული წილების შესაბამისად.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები


კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის სტრუქტურა	41
საქმიანობის აღწერა და ზოგადი მიმოხილვა.....	41
მაკროეკონომიკური გარემოსა და ჯანდაცვის ბაზრის მიმოხილვა	46
გავითარების გეგმები	47
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	49
ძირითადი რისკები და მათი მართვა	50
დამატებითი განმარტებები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	51

ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის სტრუქტურა



საქმიანობის აღწერა და ზოგადი მიმოხილვა

„ჯეო ჰოსპიტალს“-ის ქსელი საქართველოს 5 რეგიონში ოპერირებს (კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი) და მისი საწოლფონდი საქართველოში გაშლილი საწოლების 5.3 %-ია (2023 წელს საწოლფონდმა საქართველოში 15 350 საწოლი შეადგინა)¹. დღეის მდგომარეობით ქსელში გაერთიანებულია განსხვავებული რესურსის მქონე 15 სტაციონარული დაწესებულება 812 საწოლით, რამდენიმე მათგანში (8) ინტეგრირებულია ამბულატორიული სერვისებიც (მ.შ., ბაღდათის, გურჯაანის, დუშეთის, გარდაბნის და სხვ. მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრები). ქსელის შემადგენლობაში შედის, ასევე, 10 ამბულატორია/ამბულატორიული ცენტრი. ამბულატორიულ სერვისებზე კაპიტაციით მიმღები მოსახლეობის ჯამური რაოდენობა 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით 321,908.

1. კახეთი

1.1. გურჯაანის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ გურჯაანში მარჯანიშვილის N35

ფართი 4745 კვ.მ - გაშლილია 78 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია მათ შორის ინტერვენციული, მეანობა-გინეკოლოგია, ნეონატოლოგია, ტრავმატოლოგია.

1.2. საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი N13

ფართი 2461 კვ. მ - გაშლილია 36 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, ნევროლოგია, ნეონატოლოგია, ამბულატორია.

1.3. ველისციხის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva> (სტატისტიკური ცნობარი)

1.4. კაჭრეთის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

1.5. იორმულანლოს ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმულანლოში

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

2. იმერეთი

2.1. ზესტაფონის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ზესტაფონში კეკელიძისა და მელქაძის ქუჩების კვეთა

ფართი 2413 კვ.მ - გაშლილია 44 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია

2.2. ზესტაფონის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ზესტაფონში, აღმაშენებლის N1

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები

2.3. ჭიათურის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ჭიათურაში ჭანტურიას N20

ფართი 2034 კვ.მ - გაშლილია 36 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია.

2.4. ჭიათურის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ჭიათურაში აღმაშენებლის N14

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები

2.5. სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ სამტრედიაში კოსტავას N34

ფართი 2913 კვ.მ - გაშლილია 46 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია

2.6. სამტრედიის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს ქალაქ სამტრედიაში ჭანტურიას N2

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები

2.7. ბაღდათის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ბაღდათში კახიანის N84

ფართი 1322 კვ.მ - გაშლილია 17 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია.

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

2.8. ვანის სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ვანში, თავისუფლების N 84

ფართი 1763 კვ.მ - გაშლილია 12 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, თერაპია, კარდიოლოგია.

2.9. ხონის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ხონში ჭანტურიას N12

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

2.10. შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო

მდებარეობს ქალაქ ქუთაისში სოლომონ პირველის N1

ფართი 2131 კვ. მ - გაშლილია 55 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია მათ შორის ინტერვენციულ, მეანობა-გინეკოლოგია

3. სამცხე-ჯავახეთი

3.1. ბორჯომის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ ბორჯომში სააკაძის N3

ფართი 2793 კვ.მ - გაშლილია 40 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია.

4. მცხეთა-თიანეთი

4.1. დუშეთის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ დუშეთში სტალინის N71

ფართი 1887 კვ.მ - გაშლილია 18 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია

4.2. მცხეთის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ მცხეთაში ღვინჯილიას N5

ფართი 2963 კვ.მ - გაშლილია 63 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია მათ შორის ინტერვენციული.

5. ქვემო ქართლი

5.1. მარნეულის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ მარნეულში, ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორია

ფართი 3098 კვ.მ - გაშლილია 66 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია მათ შორის ინტერვენციული

5.2. მარნეულის სამშობიარო და ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ მარნეულში რუსთაველის N 112

ფართი 1986 კვ.მ - გაშლილია 36 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები სამშობიაროს - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, ნეონატოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია

ძირითადი მიმართულებები ამბულატორიის - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები

5.3. გარდაბნის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი

მდებარეობს ქალაქ გარდაბანში ლესელიძის N1

ფართი 2142 კვ.მ - გაშლილია 36 საწოლზე

ძირითადი მიმართულებები - გადაუდებელი მედიცინა, ინტენსიური, რეანიმაცია, ქირურგია, თერაპია, კარდიოლოგია.

5.4. სართიჭალის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

5.5. მარტყოფის ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები.

5.6. სადახლოს ამბულატორიული ცენტრი

მდებარეობს სოფელ სადახლოში

ძირითადი მიმართულებები - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო სერვისების მიწოდება - ოჯახის ექიმის მეთვალყურეობა, სპეციალისტების კონსულტაციები, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები

„ჯეო ჰოსპიტალს“-ის ქსელი წარმოდგენილია 229 საწოლიანი მძლავრი რეფერალური ჰოსპიტალით თბილისში და შედარებით მცირე სიმძლავრის (100 საწოლამდე) ჰოსპიტალური დაწესებულებებით; ამასთან, დაწესებულებათა 67%-ის საწოლფონდი 50-ზე ნაკლებია.

რეგიონებიდან დაწესებულებების მაღალი კონცენტრაციით იმერეთი ხასიათდება, სადაც ქსელის საწოლფონდის 26 %-ია მოზილებული. იმერეთის 11 მუნიციპალიტეტიდან „ჯეო ჰოსპიტალს“-ის სტაციონარული დაწესებულებები 5 მუნიციპალიტეტსა და ქუთაისშია განთავსებული, ხოლო 4 მუნიციპალიტეტში (ვანი, ბაღდათი, ჭიათურა, სამტრედია) ის სტაციონარული სერვისების ექსკლუზიური მიმწოდებელია.

„ჯეო ჰოსპიტალს“-ის საწოლფონდის 14 % განთავსებულია კახეთში (2 მუნიციპალიტეტი - გურჯაანი, საგარეჯო - ექსკლუზიური მიმწოდებელი), 17 % ქვემო ქართლში (გარდაბანი, მარნეული), 10 % მცხეთა-მთიანეთში (2 მუნიციპალიტეტი - მცხეთა, დუშეთი); „ჯეო ჰოსპიტალს“-ის სიმძლავრეები ყველაზე ნაკლებია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ბორჯომი), სადაც განთავსებულია მისი საწოლფონდის 4.9%.

„ჯეო ჰოსპიტალს“-ის სტაციონარებიდან 5 (ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო, თბილისის, მარნეულის, მცხეთის, გურჯაანის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრები) მრავალპროფილურ დაწესებულებას წარმოადგენს; მათი უმრავლესობა ზოგადპროფილური კლინიკაა, ხოლო 1 (მარნეულის ამბულატორიული და სამშობიარო ცენტრი) სპეციალიზებული პერინატალური დაწესებულებაა (II/III დონის სერვისით).

სტაციონარული საწოლების საშუალო დატვირთვა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 62 %, რაც „ჯეო ჰოსპიტალს“-ის 2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით (54 %) გაზრდილია;

რაც შეეხება პერინატალურ სერვისს, აღნიშნულ მომსახურებას აწარმოებს ქსელის 6 სტაციონარული დაწესებულება (მათ შორის, 3 - I დონის დაწესებულება, 2 - II დონის დაწესებულება, 1 - II/ III დონის დაწესებულება). ქსელის ფარგლებში 2023 წელს იყო სულ 1360 მშობიარობა (მ.შ., 462 საკეისრო კვეთა), აღსანიშნავია, რომ მშობიარობების კლების ტენდენცია გრძელდება 2023 წელსაც. რაც შეეხება საკეისრო კვეთების წილს, მაჩვენებელი გაზრდილია (2023 - 34% 2022 - 31.6%, 2021 - 32.6 %, 2020 - 32 %). ქსელის მასშტაბით მშობიარობების კლების ძირითადი მიზეზი ჯანდაცვის სექტორში ამ მიმართულებით გაზრდილი კონკურენცია და მსხვილი კლინიკების მხრიდან აგრესიული მარკეტინგული კამპანიის წარმოებაა, თუმცა, მხედველობაშია მისაღები უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ცოცხლადშობილთა რაოდენობის ყოველწლიური კლება საქართველოში (2014 - 60 635, 2015 - 59 249, 2016 - 56 569, 2017 - 53 293, 2018 - 51 138, 2019 - 48 296, 2020 - 46 520, 2021 - 45 946, 2022 - 42 319, 2023 - 40 214).

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს


(ქართულ ლარში)


2023 წელს ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობამ შეადგინა 868,896, აქედან სტაციონარული სერვისი იყო 125,089 ამბულატორიული კი 743,807.

2022 წლის განმავლობაში კი, კომპანიის მიერ ჯამურად გაწეული სერვისების რაოდენობა შეადგენდა 1,046,335-ს, მათ შორის 894,350 იყო გეგმიური ამბულატორიული, ხოლო 151,985 სტაციონარული სერვისი.

2022 წელთან შედარებით მიწოდებული სერვისების რაოდენობის შემცირების ძირითადი მიზეზი იყო ქსელის კლინიკების დიდ ნაწილში გაწეული სარემონტო სამუშაოები.

2023 წლის მონაცემებით, სხვადასხვა რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის პროგრამაში გეგმიური ამბულატორიული სერვისების მისაღებად ჯეო ჰოსპიტალსის ქსელში რეგისტრირებული იყო 321,908 ბენეფიციარი. 2022 წლის განმავლობაში ასეთი ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენდა 324,685 -ს.





მაკროეკონომიკური გარემოსა და ჯანდაცვის ბაზრის მიმოხილვა

ჯგუფი ჰოსპიტალსი ოპერირებს რეგიონში, სადაც არსებული ბიზნესგარემო გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, ამასთან გამოხატულია სპეციფიკური კონკურენტული გარემო. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია სამედიცინო დაწესებულებებში ცდილობს უზრუნველყოს სამედიცინო და არასამედიცინო სერვისების მაქსიმალურად ფართო არჩევანის მიწოდება. ამასთანავე, პაციენტისათვის კომფორტის შექმნის მიზნით, მომსახურება განხორციელდეს „ერთი ფანჯრის პრინციპით“.

ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნაზე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა, გამონაკლისს წარმოადგენს 2022 წელი, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომის გამო საქართველოში მიგრაციული ნაკადები გაიზარდა. ქვეყნიდან ახალგაზრდა მოსახლეობის ემიგრაცია და შობადობის შემცირება უარყოფით გავლენას ახდენს ჯანდაცვის სერვისების მოთხოვნაზე.²

საქართველოში არსებული საბაზრო მდგომარეობიდან გამომდინარე სამედიცინო დაწესებულებებისთვის არსებობს 3 ძირითადი შემოსავლის არხი:

- საყოველთაო დაზღვევის პროგრამა
- სადაზღვევო კომპანიები
- თვითდინება-შიდა სტანდარტი

ბაზარზე ძირითადი მომთამაშე არის სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, სადაც განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლინიკების შემოსავალზე.

² საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მიმოხილვა | TBC Capital

გავითარების გეგმები

„ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფის“-ის სტრატეგიული პრიორიტეტები:

ა) სტაციონარული სერვისების გაძლიერება/რეორიენტაცია:

- მრავალპროფილური რეგიონული ცენტრების (მარნეულის, მცხეთის, გურჯაანის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრები) გაძლიერება და საგარეჯოს კლინიკის მრავალპროფილურ ცენტრად ჩამოყალიბება:
 - ✓ თბილისის კლინიკის პატრონაჟით ონკოლოგიურ დაავადებათა მართვის თანამედროვე მეთოდების (მ.შ. ქიმიო და ჰორმონული თერაპია) დანერგვა/განვითარება (მარნეული, გურჯაანი)
 - ✓ ქსელის ფარგლებში ინსულტის მართვის ორდონიანი სისტემის გაძლიერება (პერსონალის გადამზადება, რეფერალის სქემების გაუმჯობესება)
 - ✓ ქირურგიული სერვისების სპექტრის გაფართოება (თორაკალური, პედიატრიული, სისხლძარღვთა) და შესაძლებლობების (ლაპარასკოპია, ენდოსკოპია) გაზრდა
 - ✓ უროლოგიური (მ.შ., თანამედროვე ტექნოლოგიები) სერვისების განვითარება (მარნეული, გურჯაანი)
 - ✓ პედიატრიული (მ.შ., სპეციალიზებული) სერვისების გაძლიერება (მარნეული, გურჯაანი, საგარეჯო)
 - ✓ ნეიროქირურგიული სერვისების შემდგომი განვითარება (მარნეული, გურჯაანი, მცხეთა)
 - ✓ დიალიზის ცენტრის ჩამოყალიბება /განვითარება საგარეჯოში
- საშუალო სიმძლავრის ზოგადი პროფილის დაწესებულებებში (გარდაბნის, ბორჯომის, ზესტაფონისა და სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრები) საბაზისო სტაციონარული სერვისების გაძლიერება:
 - ✓ ზოგადქირურგიული (მათ შორის, ლაპარასკოპიული და ენდოსკოპიური ქირურგია) სერვისების განვითარება
 - ✓ პედიატრიული (მ.შ., ბავშვთა ქირურგია) სერვისების განვითარება (გარდაბანი, ზესტაფონი)
 - ✓ გარდაბნისა და ბორჯომის სამედიცინო ცენტრების ინსულტის მართვის ორდონიანი სისტემაში ჩართვა
 - ✓ ბორჯომის სამედიცინო ცენტრში ტრავმატოლოგიური სერვისის გაძლიერება
- ჭიათურისა და ბაღდათის სამედიცინო ცენტრების ზოგადი პროფილის სტაციონარულ რეორიენტაცია:
 - ✓ დაწესებულებების ფარგლებში გადაუდებელი დახმარების ერთეულის ჩამოყალიბება /გაძლიერება
 - ✓ სამედიცინო ცენტრების ინსულტის მართვის ორდონიანი სისტემაში ჩართვა
- დუშეთისა და ვანის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრების გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ცენტრებად რეორიენტაცია

ბ) ქსელის მასშტაბიხით ამბულატორიული სერვისების განვითარება/გაძლიერება:

- მარნეულის ამბულატორიული და სამშობიარო ცენტრის ფარგლებში ახალი, მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული დაწესებულების აშენება/ამოქმედება
- გარდაბნის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ფარგლებში თანამედროვე ამბულატორიული ცენტრის აშენება და ამბულატორიული სერვისების მიწოდების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა
- პირველადი ჯანდაცვის სერვისის ბენეფიციართა რიცხვის ზრდა (სახელმწიფო პროგრამა, სადაზღვევო ინდუსტრია)
- ქსელის ამბულატორიულ დაწესებულებებში/ერთეულებში მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სამკურნალო (პედიატრია, კარდიოლოგია, ნევროლოგია, ენდოკრინოლოგია. რეაბილიტაცია) და დიაგნოსტიკური (ლაბორატორია, ენდოსკოპია, ულტრაბგერა) სერვისების სპექტრის გაფართოება
- რეფერალური კლინიკების ხელმძღვანელობით ტელემედიცინაზე დაფუძნებული ამბულატორიული სერვისების დანერგვა/განვითარება

გ) მძლავრი რეგიონული კლასტერების შექმნა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში:

კახეთის, ქვემო ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ქსელის მასშტაბის გაზრდა, რეფერალის ეფექტური სისტემის ამოქმედება და თბილისში, მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ბაზაზე მაღალტექნოლოგიური რეგიონული კლინიკის შექმნა აღმოსავლეთ საქართველოს მძლავრი კლასტერის ჩამოყალიბების წინაპირობაა; აღმოსავლეთ საქართველოს კლასტერის ფარგლებში რეგიონული ცენტრებიც მოიაზრება: კახეთი - გურჯაანი (დაფარვა - კახეთის ცენტრალური, სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილი), ქვემო ქართლი - მარნეული (დაფარვა - ქვემო

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

ქართლი, რუსთავის გარდა), სამცხე-ჯავახეთი - მცხეთა. აღნიშნულ რეგიონებში „ჯეო ჰოსპიტალს“-ი სამედიცინო სერვისების ყველაზე მძლავრ მიმწოდებლად განისაზღვრება.

იმერეთში რეფერალის ბოლო საფეხურს ქუთაისის კლინიკა წარმოადგენს. ამავდროულად, სამტრედიისა და ზესტაფონის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრები რეფერალის მიმღებ მეორეულ კლინიკებად ჩამოყალიბდება.

თითოეული კლასტერის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებათა შორის სერვისების კლინიკური ინტეგრაცია, ადამიანური რესურსის როტაციის ეფექტური სისტემის შექმნა, რაც, ბუნებრივია, კვალიფიციურ კადრზე საჭიროების გადაჭრის საუკეთესო მექანიზმია.

თბილისისა და ქუთაისის რეფერალური კლინიკები, ამავდროულად, ქსელის ადამიანური რესურსის მზადების ცენტრებად ჩამოყალიბდება.

კლასტერული მოდელის ჩამოყალიბებასთან ერთად, გრძელვადიან ჭრილში, განხილული იქნება სტაციონარული და ამბულატორიული დაწესებულებების შემდგომი განვითარება გეოგრაფიული მდებარეობის, სამიზნე პოპულაციის რაოდენობის, კონკურენტების, შესაბამის რეგიონში რეფერალის მიმღები კლინიკის არსებობისა და ადამიანურ რესურსზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. მთელ რიგ დაწესებულებებში მოხდება სერვისების რეორიენტაცია - პირველი დონის სტაციონარები ორიენტირებულები გახდებიან გადაუდებელი და ამბულატორიული სერვისების მიწოდებაზე, მე-2 დონის სტაციონარები მუნიციპალიტეტის დონეზე უზრუნველყოფენ ყველაზე ხშირი სამედიცინო საჭიროებების მართვას (თერაპია, პედიატრია, ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია), ამავდროულად, ისინი რეფერალის მიმღები კლინიკებიც გახდებიან; მე-3 დონის კლინიკები რეფერალის ბოლო დონედ განიხილება, გრდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ დონეზე ვერ ხერხდება გარკვეული მდგომარეობების მართვა (მაგალითად, კარდიოქირურგია).

აღნიშნულის ფაგლებში უზრუნველყოფილი იქნება იმ მუნიციპალიტეტებში არსებული სტაციონარული დაწესებულებების შემდგომი განვითარება (მ.შ., სერვისები, საწოლფონდი), რომელთა პოტენციალი (გეოგრაფიული მდებარეობა, სამიზნე პოპულაცია, მძლავრი კონკურენტების არარსებობა, ადამიანურ რესურსზე ხელმისაწვდომობა) იძლევა აღნიშნულ შესაძლებლობას (საგარეჯო, მარნეული, გარდაბანი, გურჯაანი).

დ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაძლიერება გარე შეფასების პროცესის წარმატებით გავლისათვის:

„ჯეო ჰოსპიტალს“-ის ქსელში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ:

- ✓ საფუძველი ჩაეყარა ინფექციების კონტროლისადმი სისტემურ მიდგომას, შეიქმნა სათანადო ინფრასტრუქტურა, მომზადდა ადამიანური რესურსი, დიდი ყურადღება ეთმობა ნოზოკომიური ინფექციების დროულ დიაგნოსტიკასა და შემდგომ მართვას, ანტიბიოტიკოპრევენციის პრევენციას, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ინფექციების კონტროლის კუთხით სამედიცინო დაწესებულებათა მხრდამჭერი ზედამხედველობა
- ✓ მიმდინარეობს სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების მონიტორინგი, მთელ რიგ მიმართულებებში (მაგალითად, პერინატალური სერვისი) დაინერგა კლინიკური აუდიტის სისტემა
- ✓ ხორციელდება სამედიცინო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების (მ.შ., კანონმდებლობით განსაზღვრული) დანერგვა
- ✓ ლაბორატორიული სერვისის ფარგლებში დაინერგა გარე შეფასება (მიმდინარე წელს გარე შეფასების პროცესში მონაწილეობა მიიღო ქსელის ყველა ლაბორატორიამ)
- ✓ რისკების დაზღვევის მიზნით მოხდა ზედამხედველობისა და აუდიტის სისტემების სრულყოფა
- ✓ აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ჯანდაცვის პერსონალის პროფესიული შეფასებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის დამკვიდრება

2023 წლის ბოლოსთვის ქსელი ხარისხის გარე შეფასების პროცესში ჩაერთო, რომელსაც საერთაშორისო მაკრედიტებელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელებს; 2025 წლამდე ქსელის კლინიკები საერთაშორისო აკრედიტაციას მოიპოვებენ.

ე) მძლავრი სასწავლო სივრცის შექმნა დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი განათლების პროგრამების ინტეგრირების საშუალებით:

შპს „ჯეო ჰოსპიტალს“-ი აქტიურად მონაწილეობს ექიმთა დიპლომისშემდგომი მზადების პროცესში. მიმდინარე ეტაპზე ქსელის კლინიკებში მიმდინარეობს რეზიდენტების მზადება 3 საექიმო სპეციალობის ფარგლებში („გადაუდებელი მედიცინა“, „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“ და „კარდიოლოგია“). დიპლომისშემდგომი მზადების პროგრამების რაოდენობას „ჯეო ჰოსპიტალს“-ი ეტაპობრივად ზრდის; მიმდინარე ეტაპზე ქსელი მუშაობს აკრედიტაციის მოპოვებისათვის კიდევ 3 საექიმო სპეციალობის

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება



საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს


(ქართულ ლარში)

სარეზიდენტო პროგრამის განხორციელებისთვის.

ამავდროულად, ქსელი ახორციელებს უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებს, რომლებშიც მონაწილეობენ როგორც ქსელის, ასევე, სხვა სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებიც,

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები





	2023	2022
სამუშაო კაპიტალი	(4,720,312)	(5,766,612)
ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.86	0.83
ლიკვიდობის კოეფიციენტი (მარაგების გარეშე)	0.72	0.70
EBITDA-ს მარჟა	0.5%	13%

❖ **სამუშაო კაპიტალი** = მიმდინარე აქტივები-მიმდინარე ვალდებულებები.

❖ **ლიკვიდობის კოეფიციენტი** = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები. ეს ინდიკატორი მიუთითებს თუ რამდენად მზად არის კომპანია არსებული მიმდინარე რესურსებით დაფაროს არსებული მიმდინარე ვალდებულებები.

❖ **სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი** (მარაგების გარეშე) = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/ მიმდინარე ვალდებულებები. ეს კოეფიციენტიც არის ლიკვიდურობის მაჩვენებელი, რომელიც არ ითვალისწინებს მარაგებს, რადგან მარაგები მიმდინარე აქტივებში ყველაზე არალიკვიდური აქტივია.

❖ **EBITDA-ს მარჟა** = EBITDA/ამონაგები. უჩვენებს საოპერაციო მომგებიანობას

ძირითადი რისკები და მათი მართვა

სისტემური რისკები: ყველაზე დიდი რისკი ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი გარემოს არასტაბილურობა და ეროვნულ დონეზე პრიორიტეტების ცვლილება. კერძოდ: სერვისების მიწოდების პირობების (მ.შ., კონკურენტულ გარემოში სელექციის კრიტერიუმების ამოქმედება) ცვლილებამ, ასევე, ჯანდაცვის სახელმწიფო სექტორის გაძლიერება/დომინირებამ და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისების ამ სექტორისაკენ მიმართვამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას ქსელის ფუნქციონირებას. ამ მიმართულებით ამ ეტაპზე გასათვალისწინებელ რისკებს შორის აღსანიშნავია:

- ✓ ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი გარემო - სანებართვო პირობების გათვალისწინება
- ✓ პირველადი ჯანდაცვის სექტორის რეფორმა - ახალი კონცეპტუალური მიდგომა
- ✓ 2025 წლიდან ხარისხის გარე შეფასების დანერგვა
- ✓ საკადრო რესურსის პრობლემა (ნაკლებობა, ხელფასები)

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

რისკების მართვის მიზნით გატარებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სერვისების მტკიცებულებების (სტატისტიკა, საუკეთესო პრაქტიკები და სხვა) მიხედვით დაგეგმარება
- ✓ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო პრაქტიკების ხელშეწყობა
- ✓ მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მოზიდვა/შენარჩუნება
- ✓ ზრუნვა საკადრო რესურსის მომზადებაზე - ქსელის სასწავლო ცენტრის ექიმებისა და ექთნების მზადების მძლავრ ინსტიტუტად ჩამოყალიბება
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სრულყოფა და გარე შეფასებებში მუდმივი მონაწილეობა
- ✓ თანამშრომლობა საზღვარგარეთის წამყვან სამედიცინო ცენტრებთან პესონალის გაცვლა/მომზადების, სამედიცინო გამოცდილების გაზიარების სფეროში

დამატებითი განმარტებები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 5 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ბეჟუაშვილი

შპს „ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი“ და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

რისკების მართვის მიზნით გატარებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სერვისების მტკიცებულებების (სტატისტიკა, საუკეთესო პრაქტიკები და სხვა) მიხედვით დაგეგმარება
- ✓ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო პრაქტიკების ხელშეწყობა
- ✓ მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მოზიდვა/შენარჩუნება
- ✓ ზრუნვა საკადრო რესურსის მომზადებაზე - ქსელის სასწავლო ცენტრის ექიმებისა და ექთნების მზადების მძლავრ ინსტიტუტად ჩამოყალიბება
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სრულყოფა და გარე შეფასებებში მუდმივი მონაწილეობა
- ✓ თანამშრომლობა საზღვარგარეთის წამყვან სამედიცინო ცენტრებთან პესონალის გაცვლა/მომზადების, სამედიცინო გამოცდილების გაზიარების სფეროში

დამატებითი განმარტებები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის მენეჯმენტის შეფასებით სრული, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 5 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ბეჟუაშვილი